



European Bank
for Reconstruction and Development



**LTD "SOLID WASTE MANAGEMENT
COMPANY OF GEORGIA"**

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში



HPC AG

Nördlingerstr. 16, 86655 Harburg /Schwaben, Germany, Tel.: +49
9080 999-0, Fax: +49 9080 999-249 e-mail: dec@hpc-paseco.gr



Policy and Management Consulting Group (PMCG)

61 Aghmashenebeli Avenue, 4th floor | 0102, Tbilisi, Georgia.

T/F: (+99532) 292 11 71, 292 11 81 office@pmcg.ge

www.pmcg.com

სარჩევი

1. ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზნები და ამოცანები.....	3
2. პროექტის განხორციელების დროს მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების სახეები.....	4
2.1. ნარჩენების პირველი ფენა	5
2.2. აფეთქების საფრთხე.....	6
2.3. ავარიული სიტუაციები - რეკომენდებული პრევენციული ღონისძიებები.....	7
3. საგანგებო მდგომარეობისას შეტყობინების სქემა	10
ცხრილი 1: საგანგებო რეაგირების ვარიანტები სხვადასხვა ინციდენტებზე	12
4. სახიფათო ნივთიერებათა დაღვრაზე რეაგირება.....	19
5. პერსონალის ტრავმებზე და ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე რეაგირება.....	21
6. ავარიაზე რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობა	27
7. საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირების სისტემა - აღჭურვილობის მონიტორინგი	28
8. ანგარიშის შედგენა	28

1. ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზნები და ამოცანები

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის მიზანია ჩამოაყალიბოს და განსაზღვროს სახელმძღვანელო მითითებები მშენებელი და ოპერატორი კომპანიის პერსონალისათვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ნებისმიერი მასშტაბის ტექნოგენურ ავარიებსა და ინციდენტებზე, აგრეთვე სხვა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების და ლიკვიდაციის პროცესში ჩართული და სხვა მომსახურე პერსონალის ქმედებების რაციონალურად, კოორდინირებულად და ეფექტურად წარმართვა, პერსონალის, მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოების დაცვა.

ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და დახურვის შემდგომი მოვლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის გაანალიზების საფუძველზე, ჩამოყალიბდა ავარიული სიტუაციების წარმოქმნის შესაძლო ვარიანტები ავარიების თავიდან ასაცილებლად. ავარიების პრევენციული ღონისძიებების შემუშავებამდე უნდა მოხდეს ავარიული რისკ-ფაქტორების შეფასება, რომლის მიზანია ერთი მხრივ ხელი შეუწყოს გადაწყვეტილებების მიღებას პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, ხოლო მეორე მხრივ - შექმნას საფუძველი გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების თავიდან ასაცილებელი ან მნიშვნელოვნად შემარბილებელი ღონისძიებების დასადგენად. ამასთან, არსებითია ის გარემოება, რომ რისკის შეფასება პირდაპირ არის დამოკიდებული ამ ღონისძიებების კომპლექსის შემადგენლობაზე.

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის ამოცანებია:

- დაგეგმილი საქმიანობის დროს, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით მოსალოდნელი ავარიული სახეების განსაზღვრა;
- თითოეული სახის ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების ჯგუფების შემადგენლობის, მათი აღჭურვილობის, ავარიულ სიტუაციაში მოქმედების გეგმის და პასუხისმგებლობების განსაზღვრა;
- შიდა და გარე შეტყობინებების სისტემის, მათი თანმიმდევრობის, შეტყობინების საშუალებების და მეთოდების განსაზღვრა და ავარიული სიტუაციების შესახებ შეტყობინების (ინფორმაციის) გადაცემის უზრუნველყოფა;

- შიდა რესურსების მყისიერად ამოქმედება და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რესურსების დადგენილი წესით მობილიზების უზრუნველყოფა და შესაბამისი პროცედურების განსაზღვრა;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების საორგანიზაციო სისტემის მოქმედების უზრუნველყოფა;

ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების პროცესში საკანონმდებლო, ნორმატიულ და საწარმოო უსაფრთხოების შიდა განაწესის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. მოსალოდნელი ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა ითვალისწინებს საქართველოს კანონებისა და საკანონმდებლო აქტების მოთხოვნებს.

2. პროექტის განხორციელების დროს მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების სახეები

გარემოსდაცვითი მიმართულებების რეცეპტორებზე ზემოქმედების მოხდენა წარმოადგენს მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის ბოლო რგოლს, რომლის ძირითადი კომპონენტებია:

ტექნოლოგიური სქემით გათვალისწინებული ცალკეულ სამუშაოებთან დაკავშირებული რისკის შემცველი სიტუაციების წარმოქმნა (ხანძარი, აალება რომლის შედეგად შესაძლოა მცირე/დიდმასშტაბიანი აფეთქების პროვოცირება)

ნეგატიური ზემოქმედება მგრძნობიარე რეცეპტორებზე (ატმოსფერული ჰაერი, ნიადაგი, გრუნტი). შესაბამისად, შეიძლება მიღებული იყოს ზომები ერთი მხრივ ამ ჯაჭვის ნებისმიერი რგოლის ცდომილების აღბათობის ან ზემოქმედების აღბათობის შემცირებისაკენ, მეორეს მხრივ - ღონისძიებათა მიზანია ზემოქმედების სიდიდეების მინიმიზაცია. ღონისძიებათა სახეების ყველაზე კარგი მიმართულებაა შესაძლებლობის ფარგლებში ნეგატიური ზემოქმედების ნულამდე დაყვანა. საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციები შეიძლება იყოს:

- ხანძარი/აალება/აფეთქება
- გამონაჟონის შემკრები ავზის დაზიანება
- სახიფათო ნივთიერებებისა და ნავთობპროდუქტების დაღვრა
- ნარჩენების განთავსების ობიექტის ჭარბი გამონაჟონი

ყველა ზემოთჩამოთვლილმა შემთხვევამ შესაძლოა გამოიწვიოს:

- სხეულის დაზიანება და სამედიცინო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტები;

- ტექნიკური აღჭურვილობის დაზიანება და შედეგად ტექნოლოგიური პროცესის შეფერხება;
- პერსონალის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები;

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღწერილ საგანგებო სიტუაციებს შესაძლოა ჰქონდეთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. ანუ, შესაძლოა ერთმა საგანგებო სიტუაციამ გამოიწვიოს მეორე. მაგალითად ხანძარმა და აფეთქებამ შესაძლოა გამოიწვიოს ბუნებრივი აირის გაფრქვევა ან ნავთობპროდუქტების დაღვრა და პირიქით, გაზის გაფრქვევა ქმნის ხანძრის საშიშროებას.

2.1. ნარჩენების პირველი ფენა

ნარჩენების პირველი ფენა ძალიან მნიშვნელოვანია ნარჩენების განთავსების ობიექტის მუშაობისთვის. პირველი ფენის დადებისას შეიძლება წარმოიშვას შემდეგი პრობლემები:

- ნარჩენების განთავსების ობიექტის უჯრედის ქვედა საიზოლაციო ფენის დაზიანება.
- ნარჩენების განთავსების ობიექტის გამონაჟონის შეგროვების სისტემის მოშლა.

პირველი ფენის სწორი აგების პროცედურა შემდეგნაირია:

- უჯრედებთან მისასვლელი გზა ზემოდან ქვემოთ უნდა აშენდეს ისე, რომ ნარჩენების განთავსების ობიექტის მანქანებმა იმოდრონ ნიადაგის პანდუსებზე.
- მისასვლელი გზის ბოლოს უნდა მოეწყოს ფართო ტერიტორია (დროებითი) სატვირთო მანქანების მანევრირებისთვის.
- პირველმა სატვირთო მანქანებმა, ნარჩენები უნდა განათავსონ მისასვლელი გზის ბოლოს ან დროებითი მოწყობილ ტერიტორიაზე მდებარე ნარჩენების განთავსების ობიექტის ქვედა ნაწილში.
- ნარჩენები, რომლებსაც შეუძლია გეომემბრანის დაზიანება არ უნდა განთავსდეს პირველ ფენაში.
- პირველი ნარჩენები უნდა განთავსდეს ვერტიკალურ სიმაღლეზე დაახლოებით 80 სმ და არ უნდა იყოს დატკეპნილი ისე, რომ წარმოადგენდეს გეომემბრანის სისტემის დამცავ ფენას.

ზემოაღნიშნული პროცედურა შეწყდება, როდესაც ნარჩენების განთავსების ობიექტის ქვედა ნაწილი მთლიანად დაიფარება ნარჩენებით, დაახლოებით როდესაც მიაღწევს 80 სმ-ს ვერტიკალურ სიმაღლეზე, ისე, რომ ნარჩენების განთავსების ობიექტის არც ერთი მოწყობილობა არ გადაივლის გეომემბრანზე ან სადრენაჟე სისტემაზე.

2.2. აფეთქების საფრთხე

ტერიტორიაზე მომუშავე პერსონალი დაცული უნდა იყოს მავნე აირების ზემოქმედებისგან. ტერიტორიაზე მოწვევა აკრძალულია, გარდა მოწვევისთვის სპეციალურად გამოყოფილი სივრცეებისა. შენობები და სხვა ნაგებობები, რომლებიც განთავსებულია ნარჩენების განთავსების ობიექტის ტერიტორიაზე, უნდა იყოს აგებული ისე, რომ არ დაგროვდეს აალებადი აირები შენობის შიგნით.

როგორც წესი, აუცილებელია ისეთი შენობების არსებობა, რომლებშიც შესაძლებელია განთავსების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით კი მიწისქვეშა სივრცეებში. უმნიშვნელოვანესია, რომ ყველა ჯიხური და სათავსო რეგულარულად შემოწმდეს აალებადი აირების არსებობაზე. შენობაში არსებული ყველა მილი მიჩნეული უნდა იყოს ტერიტორიაზე აირის შეღწევის გზად, რომელიც მოითხოვს შესაბამის რეგულარულ მონიტორინგს.

როდესაც აირების კონცენტრაცია 20%-ით აღემატება აფეთქებადობის დაბალ ზღვარს (LEL), აუცილებელია მოხდეს შენობის ევაკუაცია. თუ ასეთი დონე ფიქსირდება შენობის შიგნით, აუცილებელია აირების კონცენტრაციის დონის მონიტორინგის ხელსაწყოების და განგაშის სისტემის დამონტაჟება. განსაკუთრებული ყურადღება არის საჭირო ევაკუაციის შემდეგ შენობაში დაბრუნების დროს. ოპერატორის უსაფრთხოების დებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს გაზის კონცენტრაციის დროს ევაკუაციის და შენობაში ხელახლა შესვლის პროცედურები.

დახურული სივრცეების ხელოვნურად ჩამოყალიბება - მაგალითად ღია კონტეინერის ამოტრიალების გზით, თავიდან უნდა იქნას აცილებული. სანათი ბოძების არსებობამ შეიძლება ხელი შეუწყოს აირების დაგროვებას. შესაბამისად, აუცილებელია მათი მყარად დამონტაჟება და შესაბამისი, უსაფრთხო ელექტრო მოწყობილობების გამოყენება. ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხები განსაკუთრებულ პრიორიტეტს წარმოადგენს, როდესაც ტერიტორიაზე ხდება სავსე სივრცეებში დაგროვილი ნარჩენების თანამშრომლების მიერ გადანაწილება. კერძოდ, დაგროვილი ნარჩენების ტერიტორიაზე ბურღვითი სამუშაოების წარმოებამ შეიძლება გამოიწვიოს სახიფათო და/ან აალებადი აირების გამოთავისუფლება. შესაბამისად, ბურღვის პროცესის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანია აირების კონცენტრაციის დონის მუდმივი მონიტორინგი. ანალოგიური მიდგომა ვრცელდება თხრილების მოწყობაზე. აირების დაგროვების თავიდან ასაცილებლად, მიწები ფიზიკურად უნდა დამაგრდეს მყარად და მოხდეს გაზის კონცენტრაციის დონის მონიტორინგი.

დაუშვებელია თხრილებში ან დახურულ სივრცეებში მომუშავე პირების სამუშაო სივრცეში შესვლა აირის დონის მონიტორინგის, სამაშველო და სხვა უსაფრთხოების ზომების მიღების გარეშე. ყველა კონტრაქტორი ინფორმირებული უნდა იყოს ნარჩენების განთავსების ობიექტის ტერიტორიაზე არსებული საფრთხეების შესახებ და უნდა ჰქონდეს შესაბამისი გამოცდილება ამ საფრთხეებზე რეაგირებისთვის.

ინსტრუქციები უნდა მიეცეს ყველა თანამშრომელს - არც ერთი თანამშრომელი არ უნდა შევიდეს მიწის ქვეშ არსებულ დახურულ სივრცეში, როგორცაა მაგალითად ჭა და წყალგამტარი მილი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის საქმიანობის წარმოების უსაფრთხოებაზე დასტურის გარეშე. უსაფრთხოების ზომები იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია მოხდეს გაზის დაგროვება, არის შემდეგი:

- დახურულ სივრცეებში უნდა შევიდეს მხოლოდ შესაბამისი გამოცდილების და სწავლების მქონე პერსონალი და მათთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ზედაპირზე ამოსვლის საშუალებები;
- აკრძალულია მოწევა;
- პერსონალი, რომელიც ჩადის ჭაში, აღჭურვილი უნდა იყოს სპეციალური სასუნთქი აპარატით;
- ჭაში მომუშავე პერსონალს უნდა ჰქონდეს სპეციალური უსაფრთხოების სამაგრები და უსაფრთხოების მიზნით ახლდეს, სულ მცირე, ორი დამატებითი თანამშრომელი;
- უნდა ჰქონდეს სათადარიგო სასუნთქი აპარატი და გავლილი უნდა ჰქონდეს ამ მოწყობილობის გამოყენების სწავლება; და
- ჭებში გამოსაყენებელი განათება ან ხელსაწყოები უნდა იყოს უსაფრთხო.

დახურულ სივრცეში შესვლის დროს არსებული რაიმე ეჭვის არსებობის შემთხვევაში შესვლა დაუშვებელია.

2.3. ავარიული სიტუაციები - რეკომენდებული პრევენციული ღონისძიებები

ასპექტი	პრევენციული ღონისძიებები
ხანძარი/აფეთქება	<p>დაქირავებული მუშახელისა და ახალი თანამშრომლებისათვის სახანძრო უსაფრთხოების ასპექტების პერიოდული სწავლება და ტესტირება;</p> <p>ადმინისტრაციის შენობაში მოეწყობა სახანძრო დაცვის სისტემა. ნარჩენების განთავსების ტერიტორიაზე ხანძრის ჩასაქრობად, დამატებითი ნიადაგის მოცულობა უნდა იყოს გადაყრის ზონასთან ახლოს. (იხ. ფართობი K</p>

	<p>სურათზე 24, 25 და 26 - მარაგის ნაწილი ნარჩენების დროებითი საფარისთვის).</p> <p>„პირველი ფენის ნარჩენების“ მიჰყევით პროცედურას:</p> <p>სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა და მათთვის სპეციალური ტრენინგის ჩატარება;</p> <p>ხანძრის პრევენციის ნორმების დაცვა და ყველა სამუშაო წერტილის ეფექტური ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით მომარაგება. ყველა ხანძარსაწინააღმდეგო სტენდზე უნდა იყოს აღნიშნული პასუხისმგებელი პირი და მისი საკონტაქტო ინფორმაცია;</p> <p>ადვილად აალებადი და ფეთქებადი მასალები უნდა განთავსდეს დაცულ ადგილას. ეს ადგილი უნდა აღიჭურვოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნებით და მასალები უნდა იყოს ეტიკეტირებული და რეგისტრირებული;</p> <p>ელექტრო-უსაფრთხოების უზრუნველყოფა;</p> <p>ადვილად აალებად ნივთიერებებთან მომუშავეებისათვის და ზოგადად, ობიექტზე მომუშავე პირებისათვის სპეციალური ტანსაცმლით მუშაობის ვალდებულება.</p> <p>ადვილად აალებადი ნივთიერებების საცავეები უნდა იყოს აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით.</p> <p>პერსონალისათვის ხანძრის რისკის შესახებ ტრენინგების ჩატარება</p> <p>თუ სამუშაო პროცესისას ადვილად აალებადი ნივთიერებები გაიბნა, ისინი ფრთხილად უნდა შეგროვდეს და განთავსდეს ნარჩენებისთვის განკუთვნილ ყუთში. ნარჩენების ადგილები გულმოდგინედ უნდა დასუფთავდეს</p> <p>სახიფათო ნივთიერებების დაღვრისას და აირის</p>
--	--

	შემთხვევით გაფრქვევისას პრევენციული ღონისძიებები უნდა იყოს მიღებული
ნავთობპროდუქტებისა და სხვა სახიფათო ნივთიერებების დაღვრა	<p>ნავთობპროდუქტებისა და ქიმიური ნივთიერებების შენახვისა და გამოყენების მკაცრი კონტროლი. შენახვამდე უნდა შემოწმდეს კონტეინერების ვარგისიანობა</p> <p>მცირე დაღვრის აღმოჩენის შემთხვევაში სამუშაოების, მოწყობილობებისა და მექანიზმების მუშაობის შეჩერება და ტექნიკური მომსახურება იქამდე, სანამ ინციდენტი უფრო ფართო მასშტაბებს არ მიიღებს.</p>
პერსონალის დაზიანება/დაშავება	<p>რისკების იდენტიფიცირება და შეფასება. შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება</p> <p>უსაფრთხოების საკითხებზე პერსონალის დატრენინგება და ტესტირება;</p> <p>ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით პერსონალის უზრუნველყოფა;</p> <p>სახიფათო ზონების გამაფრთხილებელი/ამკრძალავი ნიშნებით აღჭურვა;</p> <p>საევაკუაციო გეგმის პოსტერების განთავსება შენობის შიგნითა კედლებსა და დახურულ ადგილებში;</p> <p>იმ სპეციალური ჯგუფის დატრენინგება (ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ოფიცრები), რომელიც სამუშაო ადგილებში უსაფრთხოების მაჩვენებლების დონეს გააკონტროლებს და უსაფრთხოების ნორმების დარღვევას აღნუსხავს;</p>
ტრასპორტირება	<p>სამშენებლო არეალში ნარჩენების, აღჭურვილობისა და მასალების მიწოდების ოპტიმალური მარშრუტის შემუშავება;</p> <p>ნარჩენების განთავსების ობიექტის ტერიტორიის არეალში მისასვლელი გზების ოპტიმალური მარშრუტის შემუშავება;</p> <p>ნარჩენების განთავსების ობიექტის</p>

	ტერიტორიაზე საგზაო ნიშნების მოწყობა (გამაფრთხილებელი, მანიშნებელი და ამკრძალავი).
გამონაჟონის შემკრები ავზის დაზიანება	მოხდება ობიექტის ქვეშ დამონტაჟებული სადრენაჟო სისტემის პერიოდული შემოწმება დადგენილი პერიოდულობით შემოწმდეს ავარიული სიტუაციებისთვის განკუთვნილი გადაღვრის მექანიზმის გამართულობა

3. საგანგებო მდგომარეობისას შეტყობინების სქემა

ოპერატორი ან ტექნიკური მონიტორინგის სერვისი, შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ნარჩენების განთავსების ობიექტის მთავარ ოპერატორს, მთავარი ოპერატორი ინფორმაციას გადასცემს სამშენებლო მოედნის ხელმძღვანელს ან სამშენებლო სამუშაოების მენეჯერს. სამშენებლო მოედნის ხელმძღვანელი ან მენეჯერი:

მოიპოვებს ინფორმაციას და მონაცემებს პირველადი წყაროდან ინციდენტის ტიპისა და ადგილმდებარეობის, დაზიანების შესაძლო მასშტაბის, სრული სახელისა და პოზიციის, რადიო ან სატელეფონო კავშირის შესახებ და შეატყობინებს ნარჩენების განთავსების ობიექტის დირექტორს. ნარჩენების განთავსების ობიექტის დირექტორთან შეთანხმების შემდგომ, ნარჩენების განთავსების ობიექტის მენეჯერ-ოპერატორი გადასცემს აღნიშნულ ინფორმაციას რეაგირების გუნდს: ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ოფიცერს/სამედიცინო ერთეულს;

აუცილებლობის შემთხვევაში იძახებს საავარიო სამსახურებს: სახანძროს/სამედიცინო დახმარებას/პოლიციას და ა.შ. ნარჩენების განთავსების ობიექტის დირექტორმა უნდა გადასცეს ინფორმაცია: სამშენებლო ადგილების ხელმძღვანელებს/ოპერატორებს და მისცეს შესაბამისი დირექტივა; ადგილობრივ ან რეგიონულ საგანგებო სერვისებს აუცილებლობის შემთხვევაში (ფართო მასშტაბიანი საგანგებო სიტუაციების დროს) სამთავრობო სტრუქტურის დაინტერესებულ მხარეებს და სხვა ორგანიზაციებს, მასმედიისა და საზოგადოებრივი ინფორმაციის ჩათვლით

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამსახურის ნომერი 112 - გამოკრული იქნება ნარჩენების განთავსების ობიექტის ტერიტორიაზე, მომსახურე პერსონალისთვის და ვიზიორებისათვის თვალსაჩინო ადგილებზე.

ცხრილი 1: საგანგებო რეაგირების ვარიანტები სხვადასხვა ინციდენტებზე

ხანძრის დროს რეაგირება	ინფორმაციის პირველადი წყარო და მიმდებარე ტერიტორიაზე მომუშავე პერსონალი	ობიექტის მენეჯერი/მთავარი ოპერატორი	სამშენებლო სამუშაოების მენეჯერის / ნარჩენების განთავსების ობიექტის ხელმძღვანელის სტრატეგიული ქმედებები ხანძრის შემთხვევაში	ადგილზე მობილიზებული პერსონალის ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებები
ძლიერი ხანძარი - რთულია ხანძრის ეპიცენტრთან მიახლოება, გვერდით განლაგებულია აალებადი ან ფეთქებადსაშიში ადგილები	<p>მოსცილდით სახიფათო ზონას</p> <p>ევაკუაციის შემთხვევაში საევაკუაციო სქემის მიხედვით იმოქმედეთ;</p> <p>თუ გადასაკვეთია კვამლით სავსე დახურული სივრცე, ჩოქვით გადაადგილდით, ყველაზე სუფთა ჰაერი იატაკთან ახლოსაა, შეიხვიეთ ცხვირ-პირი სველი ნაჭრით</p> <p>აცნობეთ მთავარ მენეჯერს/ოპერატორს უბედური შემთხვევის შესახებ;</p> <p>დაელოდეთ მაშველ გუნდს</p> <p>აცნობეთ მათ ხანძრის მიზეზებისა და ხანძრის ეპიცენტრის გარშემო არსებული ვითარების</p>	<p>შეაგროვეთ დაწვრილებითი ინფორმაცია ხანძრის ეპიცენტრის შესახებ, ახლოს არსებული/შენახული ალჭურვილობისა და ნივთიერებების შესახებ</p> <p>გადაეცით ინფორმაცია შეტყობინების სქემის მიხედვით</p> <p>უბედური შემთხვევის ადგილის მონახულება და სიტუაციის დაზვერვა, რისკების ანალიზი და სავარაუდო ხანძრის დონის შეფასება</p>	<p>საგანგებო ვითარების შეტყობინების სქემის მიხედვით ინფორმაციის გადაცემა;</p> <p>ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ოფიცერთან ერთად შიდა პერსონალის მართვა და კონტროლი სახანძრო ჯგუფის გამოჩენამდე (ამის შემდეგ მართვის ფუნქციას სახანძრო გუნდის ხელმძღვანელი გადაიბარებს)</p> <p>სახანძრო გუნდის დახმარება (მაგალითად ტერიტორიაზე არსებული სპეციალური ალჭურვილობა შეიძლება იყოს გამოსადეგი ან სხვ.)</p> <p>ინციდენტის აღმოფხვრის შემდეგ უბედური</p>	<p>სწრაფი რეაგირება და ყველა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის მობილიზება</p> <p>ადგილზე ხანძარსაწინააღმდეგო ზომების მიღება ადგილობრივ ან რეგიონული ხანძარსაწინააღმდეგო სერვისების გამოჩენამდე</p> <p>ადგილობრივი ან რეგიონული სახანძრო ბრიგადის მოსვლის შემდეგ, დაწვრილებითი ინფორმაციის მიწოდება ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების შესახებ და გაერთიანებული მოქმედება ხანძრის ჩასაქრობად.</p>

	შესახებ.	დაავალეთ პერსონალს ხანძრის ჩასაქრობი მოწყობილობების გამოყენება.		
ხანძრის დროს რეაგირება	ინფორმაციის პირველადი წყარო და მიმდებარე ტერიტორიაზე მომუშავე პერსონალი	ობიექტის მენეჯერი/მთავარი ოპერატორი	სამშენებლო სამუშაოების მენეჯერის / ნარჩენების განთავსების ობიექტის ხელმძღვანელის სტრატეგიული ქმედებები ხანძრის შემთხვევაში	ადგილზე მობილიზებული პერსონალის ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებები
სუსტი ხანძარი - ცეცხლის ეპიცენტრი ადვილად მისადგომია და მასთან ახლოს ყოფნა ჯანმრთელობისთვის სახიფათო არაა. ამასთანავე, არის მახლობელ ტერიტორიაზე ცეცხლის გავრცელების გარკვეული რისკი	უფროს მენეჯერს/ოპერატორს შეატყობინეთ უბედური შემთხვევის შესახებ მომეზნეთ უახლოესი სახანძრო სტენდი და აღიჭურვეთ აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებით (ცეცხლმაქრი, ნაჯახი, ლომი, სათლი და ა.შ.) შეეცადეთ ცეცხლის ცეცხლმაქრით ჩაქრობას, მასზე მითითებული ინსტრუქციის მიხედვით თუ ტერიტორიაზე არავითარი სახანძრო სტენდი არ არის, გამოიყენეთ ქვიშა ან წყალი ხანძრის სალიკვიდაციოდ ან	პერსონალის ქცევის მართვა	შემთხვევის შედეგების ლიკვიდირება ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ოფიცერთან ერთად ანგარიშის მომზადება სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელი კომპანიისათვის საგანგებო მდგომარეობის შეტყობინების სქემის მიხედვით ინფორმაციის გადაცემა; ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ოფიცერთან ერთად შიდა პერსონალის ხელმძღვანელობა და კონტროლი, საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირების გუნდის გამოჩენამდე	ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობისა და სატრანსპორტო საშუალებების მობილიზაცია ინციდენტის ადგილზე გამგზავრება და პრევენციული ზომების მიღება ადგილზე ხანძარსაწინააღმდეგო ზომების მიღება ადგილობრივ ან რეგიონული ხანძარსაწინააღმდეგო სერვისების გამოჩენამდე

	<p>დაფარეთ ის ნაკლებად აალებადი სტრუქტურის სქელი ნაჭრით</p> <p>იმ შემთხვევაში თუ არის წნევის ქვეშ მყოფი</p>			
აფეთქებაზე რეაგირება	<p>ინფორმაციის პირველადი წყარო და მიმდებარე ტერიტორიაზე მომუშავე პერსონალი</p>	<p>ობიექტის მენეჯერი/მთავარი ოპერატორი</p>	<p>სამშენებლო სამუშაოების მენეჯერის / ნარჩენების განთავსების ობიექტის ხელმძღვანელის სტრატეგიული ქმედებები ხანძრის შემთხვევაში</p>	<p>ადგილზე მობილიზებული პერსონალის ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებები</p>
	<p>ნაწილები ხანძრის ეპიცენტრთან, აკრძალულია წყლის გამოყენება</p> <p>დახურულ სივრცეში ხანძრის შემთხვევაში არ გააღოთ ფანჯარა (განსაკუთრებული შემთხვევების გარდა), რადგან სუფთა ჰაერის ჟანგბადი ხელს უწყობს ხანძრის გავრცელებას</p>		<p>საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლებს დაევალოთ ფეთქებადსაშიში ან სხვაგვარად სენსიტიური ზონების იზოლირება მყარი კონსტრუქციებით</p> <p>მაშველი ჯგუფების მხარდაჭერა (სპეციალური აღჭურვილობის მობილიზება)</p> <p>ინციდენტის აღმოფხვრის შემდეგ უბედური შემთხვევის შედეგების ლიკვიდირება</p>	

<p>აფეთქების რისკი, თანამშრომელთა ჯანმრთელობისა ან სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა</p>	<p>სამშენებლო ტერიტორიაზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ქმედებების გარდა ყოველგვარი მოქმედების შეჩერება</p> <p>აფეთქების არეალისა და მიმდებარე ტერიტორიების დაზვერვა შორიდან და შემდეგი პუნქტების მიხედვით ვითარების შეფასება:</p> <p>აფეთქების შედეგად დაზიანებული პირების იდენტიფიკაცია და რაოდენობის დადგენა;</p> <p>აფეთქების მიზეზის იდენტიფიცირება;</p> <p>შეაფასეთ არის თუ არა ახლომახლო ადვილად აალებადი და ფეთქებადსაშიში ადგილები. შესაბამისად რამდენად არსებობს აფეთქების განმეორების ან ხანძრის გავრცელების რისკი;</p> <p>კედლებისა და ჭერის ჩამოქცევისა ან სხვა რისკის განსაზღვრა,</p>	<p>აფეთქების ადგილმდებარეობის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის შეგროვება. არსებული/დასაწყობებულ ალჭურვილობა-დანადგარების, ნივთიერებებისა და სხვათა შესახებ</p> <p>საგანგებო ვითარების შეტყობინების ინსტრუქციის მიხედვით ინფორმაციის გადაცემა</p> <p>აფეთქების ადგილთან მიახლოება და სიტუაციის დაზვერვა, რისკის შეფასება და აფეთქების ხარისხის განსაზღვრა. უბედური შემთხვევის თანამდევ მოვლენების წინასწარ</p>	<p>ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ოფიცერთან ერთად (დაზიანებული ადგილების აღდგენა, ნანგრევებისგან ტერიტორიის გაწმენდა, ა. შ.);</p> <p>ანგარიშის მომზადება და დამკვეთისთვის გადაცემა</p>	
---	---	---	--	--

	რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას.	განსაზღვრა თანამშრომელთა სრულ შტატს დაევალოს ხანძარსაწინააღმდეგ ეგო ინვენტარისა და სატრანსპორტო საშუალებების მობილიზება და საჭიროების შემთხვევაში გამოყენება პერსონალის მოქმედების მართვა და კონტროლი		
--	---	--	--	--

<p>აფეთქების განმეორების რისკი, კედლებისა ან ჭერის ჩამოქცევა, თანამშრომელთა ჯანმრთელობისა ან სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა</p>	<p>სახიფათო ზონის დაუყოვნებლივ დატოვება</p> <p>მთავარი მენეჯერის/ოპერატორის ინფორმირება აფეთქების შესახებ</p> <p>მაშველი ჯგუფის ლოდინი და მათთვის აფეთქებისა და მის გარშემო ვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება</p>			
---	--	--	--	--

<p>აფეთქების ადგილი არ არის სახიფათო ჯანმრთელობისთვის, მიუხედავად ამისა, პერსონალის ნაწილი დაჭრილია და არსებობს შემთხვევის განმეორების რისკი</p>	<p>აცნობით უფროს მენეჯერს/ოპერატორს აფეთქების შესახებ;</p> <p>მომდებნეთ ყველაზე ახლომდებარე ხანძარსაწინააღმდეგო სტენდი და აღიჭურვეთ აუცილებელი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარიტა და პერსონალური დაცვის საშუალებებით</p> <p>მიუახლოვდით უბედური შემთხვევის ადგილს და მოაცილეთ ის ნივთები და ნივთიერებები, რომლებიც აფეთქების განმეორების რისკს ქმნიან</p> <p>დაჭრილ და დაზიანებულ ადამიანს დაეხმარეთ "პირველადი დახმარების" ინსტრუქციის მიხედვით</p> <p>უბედურ ადგილთან ახლოს თუ იმყოფებით, შეეცადეთ არ მოხვდეთ ფეთქებადსაშიშ ზონასა და კედელს შორის</p>			
--	---	--	--	--

4. სახიფათო ნივთიერებათა დაღვრაზე რეაგირება

რეცეპტორი	საპასუხო მოქმედებები
<p>გაუმტარ ზედაპირზე სახიფათო ნივთიერებების დაღვრა (ასფალტი, ბეტონის საფარი)</p>	<p>საგანგებო მდგომარეობის შეტყობინების სქემის მიხედვით ინფორმაციის გადაცემა</p> <p>მოწყობილობა-აღჭურვილობის მუშაობასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების შეჩერება</p> <p>დაბინძურების წყაროს დაბლოკვა და მასთან მისაწვდომობის შეზღუდვა</p> <p>მოითხოვეთ, რომ საგანგებო სიტუაციის პასუხად პერსონალმა მოწყობილობებისა და პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობის მობილიზება მოახდინოს</p> <p>კანალიზაციას სისტემის დაბლოკვა (ჭების თავსახურები)</p> <p>აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამისი გაუმტარი მასალით ბარიერის მოწყობა (ქვიშის ტომრები, პოლიეთილენის ფირფიტები, პლასტმასის ფენები და ა.შ.) იმგვარად, რომ მან შეაჩეროს ან შეამციროს დაღვრილი მასალის დინება</p> <p>ბარიერები უნდა მოეწყოს ტროტუარების პერპენდიკულად ან ნალისებურად, იმგვარად, რომ ღია მხარე მიმართული იყოს დაღვრილი ნივთიერებებისკენ</p> <p>შეაგროვეთ დაღვრილი ნავთობპროდუქტები ცოცხითა და ტილოთი</p> <p>დაღვრილი ნივთიერებების გასაშრობად აუცილებელია აბსორბენტების გამოყენება;</p> <p>ნავთობპროდუქტების შეკრება ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი კონტეინერში განთავსება და შემდეგ მოცილება;</p> <p>ნავთობპროდუქტების შეწოვის შემდეგ აბსორბენტები უნდა განთავსდეს პოლიეთილენის პაკეტებში</p> <p>ადგილი სრულად უნდა გაიწმინდოს</p> <p>ნავთობპროდუქტების ნარჩენებისგან, იმისათვის, რომ დამაბინძურებლები წვიმის წყალმა არ გადარეცხოს.</p>

	<p>დასუფთავების სამუშაოების დასრულების შემდეგ ყველა გასაწმენდი საშუალება უნდა შეიკრიბოს, შეიხვეს და განთავსდეს შესაბამის უსაფრთხო ადგილებზე</p>
<p>სახიფათო ნივთიერებების დაღვრა წყალგამტარ ზედაპირზე (ხრეშზე, ნიადაგზე, მცენარეულ საფარზე).</p>	<p>საგანგებო მდგომარეობის შეტყობინების სქემის მიხედვით ინფორმაციის გადაცემა</p> <p>ტერიტორიაზე არსებული ყველა მოწყობილობა-აღჭურვილობის მუშაობის შეჩერება (იმ შემთხვევაში თუ ზეთი დაიღვარა ქვესადგურის ტერიტორიაზე, აუცილებელია, გამოირთოს ყველა ახლომდებარე ელექტროხელსაწყო: ტრანსფორმატორები, გამომრთველები და ა. შ.)</p> <p>დაბინძურების წყაროს დაბლოკვა (ასეთის არსებობების შემთხვევაში);</p> <p>მოითხოვეთ, რომ საგანგებო სიტუაციის პასუხად პერსონალმა მოწყობილობებისა და პირადი უსაფრთხოების აღჭურვილობის მობილიზება მოახდინოს</p> <p>კანალიზაციის სისტემის დაბლოკვა (ჭების თავსახურები) აბსორბენტები ისე უნდა დალაგდეს, რომ წარმოქმნას უწყვეტი ბარიერი (ზღუდე) დაღვრილი ნავთობპროდუქტების მოძრაობის არეალში. ბარიერების ბოლოები ისე უნდა მოირკალოს, რომ ნალის ფორმა წარმოქმნას</p> <p>დაღვრილი ნავთობპროდუქტის შესაკავებელი ადგილი უნდა დაიფაროს პოლიეთილენის მემბრანული ნაჭრებით, რათა შეაჩეროს ნიადაგის ღრმა ფენებში ნავთობის ჩაჟონვა</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ თუ პოლიეთილენის ნაჭრების განთავსება ვერ ხერხდება, ბარიერის განლაგება გამოიწვევს ნავთობპროდუქტების დაგროვებას ერთ ადგილზე, რაც თავის მხრივ ნიადაგის ნავთობპროდუქტით გაჯერებისა და მის ქვედა ფენებში გადასვლის საშიშროებას წარმოქმნის</p> <p>დაღვრილი ნივთიერებების ასაშრობად აუცილებელია აბსორბენტების გამოყენება;</p> <p>ნავთობპროდუქტების შეკრება ისე, რომ შესაძლებელი</p>

	<p>იყოს მათი კონტეინერში განთავსება და შემდეგ მოცილება;</p> <p>ნავთობპროდუქტების შეწოვის შემდეგ აბსორბენტები უნდა განთავსდეს პოლიეთილენის პაკეტებში (აბსორბენტების ხელმეორე გამოყენება შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში)</p> <p>ადგილი სრულად უნდა გაიწმინდოს ნავთობპროდუქტების ნარჩენებისგან, იმისათვის, რომ დამაბინძურებლები წვიმის წყალმა არ გადარეცხოს.</p> <p>დასუფთავების სამუშაოების დასრულების შემდეგ ყველა გასაწმენდი საშუალება უნდა შეიკრიბოს, შეიხვეს და განთავსდეს შესაბამის უსაფრთხო ადგილებზე</p> <p>მცენარეული საფარისა და ნიადაგის ზედა ფენის დამუშავება უნდა დაიწყოს დაბინძურების წყაროს მოცილების ან დაღვრის შეჩერების შემდეგ;</p> <p>როდესაც დაღვრილი ნავთობპროდუქტი სრულად აიწმინდება, უნდა დაიწყოს მოცილებისა და აღდგენის სამუშაოები სამშენებლო სამუშაოების მენეჯერისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე მოწვეული სპეციალისტის ზედამხედველობით</p>
--	---

5. პერსონალის ტრავმებზე და ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე რეაგირება

ტრავმის დახასიათება	პირველადი ნიშნები და შესაძლო შედეგები	პასუხი
ძვლის ღია მოტეხილობის დროს	კანის მთლიანობის დარღვევა, ჭრილობა და სისხლდენა დაზიანებულ ადგილას. ინფექციის რისკი	<p>უხმეთ დამხმარეს, ის დააფიქსირებს დაზიანებულ სხეულის ნაწილს იმ დროს, სანამ თქვენ ჭრილობას დაამუშავებთ</p> <p>დააფარეთ ჭრილობას სუფთა ნაჭერი და დააჭირეთ ,რათა სისხლდენა შეაჩეროთ, არ დააწვეთ ძვლის გადატეხილი ნაწილებზე</p> <p>შემოაკარით ჭრილობას სუფთა ნაჭერი და დააფიქსირეთ თითების შეხების</p>

		<p>გარეშე</p> <p>თუ გადატეხილი ძვლის ნაწილი მოჩანს, რბილი ნაჭერი ისე შემოაკარით, რომ ნაჭერმა არ იმოძრაოს და თან ძვლის გადანატეხზე არ იმოქმედოს. ნაჭერი ისე შეკარით, რომ ჭრილობის ქვემოთ სისხლის მოძრაობას ხელი არ შეუშალოს</p> <p>გადატეხილი ძვალი ისე შეკარით, როგორც დახურული მოტეხილობების დროს</p> <p>ყოველ ათ წუთში ერთხელ ამოწმეთ შეხვეული ნაწილის ქვემოთ პულსი, კაპილარული მოძრაობა და მგრძნობელობა</p>
ძვლის დახურული მოტეხილობა	ტრავმის ადგილას კანის მთლიანობა დარღვეული არ არის. შეინიშნება სისხლდენა და შეშუპება	<p>გააჩერეთ მოტეხილობის ზედა და ქვედა ნაწილი ხელით, მანამდე სანამ შეკრავთ და დააფიქსირებთ</p> <p>დააფიქსირეთ დაზიანებული ნაწილი დაუზიანებელზე. თუ მოტეხილობა ხელზეა, მიაკარით სხეულს სამკუთხედი ფორმის სახვევით. თუ მოტეხილობა ფეხზეა, დააფიქსირეთ ის მეორე ფეხზე</p>
ჭრილობა და სისხლდენა	არის მცირე სისხლდენა. ამ შემთხვევაში არის ინფექციის რისკი	გაწმინდეთ დაზარალებულის ჭრილობა ნებისმიერი სახის სასმელად ვარგისი, უფერო, თხევადი ნივთიერებით შეახვიეთ ჭრილობა სუფთა ნაჭრით
	არის ძლიერი სისხლდენა, სისხლისგან დაცლის საშიშროება	<p>დაფარეთ ჭრილობა ნაჭრის მრავალი ფენით და ბანდით შეკარით</p> <p>თუ სისხლი კვლავ გამოდის, ჭრილობას ხელახლა დაადეთ ნაჭერი (სისხლით დამბალი ნაჭერი არ გამოიყენოთ) და ძლიერად დააწეეთ იმ ადგილს, საიდანაც სისხლი გამოედინება</p>
	ძალიან ძლიერი სისხლდენა ჭრილობიდან -	არტერიის გადახსნილ ადგილზე დააჭირეთ თითი, შემდეგ კი დაადეთ

	<p>არტერიული სისხლდენა. ამ შემთხვევაში სისხლისგან დაცლა სწრაფად ხდება</p>	<p>სახვევი</p> <p>სახვევი დააფიქსირეთ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, ხშირად ამას შეუქცევადი ზიანი მოჰყვება</p> <p>სახვევი დააფიქსირეთ ჭრილობის ზემოთ სახვევის დაფიქსირების ადგილი უნდა დაიფაროს ნაჭრებით. თუ ჭრილობა ღიაა, ნაჭრები უნდა დაიდოს სახვევქვეშ.</p> <p>პირველი სახვევი რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა დაედოს, შემდეგი სახვევი უფრო უნდა შემჭიდროვდეს კიდევ 3-4 ჯერ (თოკი, ქამარი და ა.შ. შეიძლება იყოს გამოყენებული სახვევის მაგივრად)</p> <p>სახვევი უნდა ედოს ზამთარში ერთი, ხოლო ზაფხულში ორი საათის განმავლობაში. შემდეგ უნდა ავხსნათ და 5-10 წუთში წინა შეხვევის ადგილიდან ოდნავ უფრო მაღლა შევკრათ</p> <p>შეამოწმეთ კარგად ამაგრია თუ არა სახვევი, თუ ის კარგადაა ფიქსირებული, კიდურზე არ უნდა იგრძნობოდეს არანაირი პულსირება</p> <p>არაფერი არ გამოიღოთ ჭრილობიდან. თუ რამე უცხო სხეულს ხედავთ, შეეცადეთ მაქსიმალურად დააფიქსიროთ ის (სახვევი უცხო სხეულის გარშემო დაადეთ)</p>
	<p>ხდება იმ შემთხვევაშითუ ვენისა ან არტერიის დაზიანების გამო სისხლის ჩვეული ცირკულირება ირღვევა და ის სხეულში გროვდება.</p>	<p>ადამიანი უნდა დააწვინოთ და ფეხები მაღლა ააწვინოთ</p> <p>არ მისცეთ საჭმელი, წამალი, ან სასმელი. თუ დაზარალებული გონებაზეა და ძალიან სწყურია, უბრალოდ დაუსველეთ ტუჩები</p> <p>გაათბეთ დაზარალებული - დააფარეთ</p>

	<p>შოკი, სისხლდენა ხშირად იწვევს ტკივილს და დაზიანებული სხეულის იმ ზონაზე ვრცელდება, რომელსაც ადამიანი უჩივის. ამგვარი სისხლდენა ორგანიზმის გაღიზიანების შედეგად ანთებით პროცესს იწვევს. ნიშნები დაზიანების მიღების შემდეგ ჩნდება, მაგრამ სისხლი დიდი რაოდენობით არ იკარგება</p>	<p>პლედი ან ნაჭერი</p> <p>სამედიცინო დახმარება რაც შეიძლება სწრაფად გამოიძახეთ</p>
<p>პირველი დახმარება დამწვრობის დროს</p>	<p>ცხელ საგნებსა და ორთქლთან კონტაქტის შედეგად (თერმული დამწვრობა) ქიმიური ნივთიერებებით (ქიმიური დამწვრობა) ელექტროობის შედეგად (ელექტრო დამწვრობა).</p>	<p>უნდა განისაზღვროს დამწვრობის ხარისხი, რომელიც დაზიანების სიღრმესა და ზონაზეა დამოკიდებული (იმაზე, თუ რომელ ადგილზეა დამწვრობა)</p> <p>გაიყვანეთ დაზარალებული უსაფრთხო ადგილას სუფთა ჰაერზე</p> <p>თუ ადამიანს ტანსაცმელი ეწვის, არ აგორაოთ მისი სხეული, არ შეასხათ წყალი (ელექტრო დამწვრობის დროს მოწყობილობასთან წყლის გამოყენება აკრძალულია)</p> <p>თუ ადგილზე წყალი არ არის, დააფარეთ სხეულს არასინთეტიკური ქსოვილი</p> <p>დამწვარი ადგილი გააციეთ ცივი წყლით (პირველი ან მეორე ხარისხის დამწვრობის შემთხვევაში დაასველეთ დამწვარი ადგილი 10- 15 წუთის განმავლობაში, III და IV ხარისხის</p>

		<p>დამწვრობის შემთხვევაში შეახვიეთ ის სველ სუფთა ნაჭერში და ამგვარად შეხვეული გააცივეთ წყლით)</p> <p>ტანსაცმელი და სხვა ობიექტები, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სისხლის მოძრაობას, მოაცილეთ დაზიანებული ადგილს. დაზიანებულ ადგილას დარჩენილ ტანსაცმლის ნაწილებს არ შეეხოთ</p> <p>დაზიანებული ადგილს დაადეთ სტერილური სახვევი. ეს ხელს შეუშლის ინფექციის შეჭრას</p> <p>თუ დაზარალებულს მძიმე სუნთქვა აქვს, სახისა ან ყელის დამწვრობა, სახისა და ცხვირის თმის საფარი შეტრუსულია, პირი და ტუჩები გაბერილი, უჭირს ყლაპვა, ახველებს, ხრიალებს - სავარაუდოა, რომ სასუნთქი გზები დაიწვა და დაელოდეთ სამედიცინო დახმარებას</p> <p>მუდმივად ამოწმეთ სუნთქვა და პულსი, სამედიცინო დახმარების მოსვლამდე მზადყოფნაში იყავით რეანიმაციული ზომების მისაღებად</p> <p>არ შეიძლება დაზიანებული ადგილიდან მოაცილოთ ტანსაცმლის ნაწილაკები, ამან შეიძლება ჭრილობა გააღრმავოს</p> <p>არ შეიძლება ბუშტუკების დახეთქვა, დაზიანებული კანი სხეულში ინფექციის შესაჭრელად დამატებით ხელსაყრელ გარემოს შექმნის</p> <p>არ გამოიყენოთ მაღამოები, ლოსიონები ან ზეთი დაზიანებული კანის ზედაპირის დასამუშავებლად</p> <p>გამანეიტრალებელი საშუალებებით სხეულის დამუშავება აკრძალულია</p>
--	--	--

		ქიმიური დამწვრობის დროს/ მაგალითად ტუტე მჟავა იწვევს დამწვრობის საფრთხეს.
მაღალი ძაბვის ელექტრო-ტრავმა	მაღალი ძაბვის ელექტროობით გამოწვეული ტრავმა უმეტეს შემთხვევაში ფატალურად სრულდება. ამ დროს ადამიანი ძლიერ დამწვრობას იღებს მაღალ ძაბვასთან კონტაქტი დაზარალებულს ხშირად დიდ მანძილზე გადაისვრის, რაც დამატებით სერიოზულ ტრავმებს წარმოშობს	აკრძალულია დაზარალებულთან მიახლოება ელექტროობის გამორთვამდე ან საჭიროების შემთხვევაში მის იზოლაციამდე გაჩერდით 18 მეტრის მოშორებით უსაფრთხო ადგილას. არ მისცეთ უფლება სხვა მოწმეებს მიუახლოვდნენ დაზარალებულს; გაუხსენით სასუნთქი გზები დაზარალებულს თავის ამოძრავების გარეშე, გამოსწიეთ ქვედა ყბა შეამოწმეთ სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის ნიშნები. მზად იყავით მიიღოთ სარეანიმაციო ზომები გაუწიეთ პირველადი დახმარება დამწვრობისა ან სხვა ჭრილობების შემთხვევაში
ელექტრო ტრავმა დაბალი ძაბვის ელექტროობით	დაბალი სიმძლავრის ელექტრო ტრავმა შეიძლება გახდეს სერიოზული დაზიანებისა ან სიკვდილის მიზეზი. ამგვარი ელექტრო ტრავმა შესაძლოა გამოწვეული იყოს დაზიანებული ჩამრთველის, სადენის ან აღჭურვილობის გამო. სველ იატაკზე დგომისა ან შეხების შემთხვევაში	არ მიეკაროთ დაზარალებულს, თუ ის ენერგიის წყაროს ეხება არ გამოიყენოთ მეტალის მასალა ენერგიის წყაროს მოსაცილებლად თუ შესაძლებელია, გამორთეთ დენით მომარაგება. თუ ამის გაკეთება ვერ ხერხდება, გამორთეთ ელექტრო დანადგარი დენის წყაროდან თუ ვერ ახერხებთ ელექტროობის გამორთვას, მაშინ დადექით მშრალ იზოლირებად საგანზე (ხის დაფაზე, რეზინის ან პლასტმასის ბალიშზე, წიგნზე ან გაზეთების გროვაზე) მსხვერპლის სხეულს მოაცილეთ ენერგიის წყარო ცოცხით, ჯოხით, სკამით. შეგიძლიათ მოაშოროთ მსხვერპლის სხეული ენერგიის წყაროს,

		<p>ან პირიქით, ენერგიის წყარო სხეულს, თუ ასე უფრო მოსახერხებელია;</p> <p>დაზარალებულის სხეულთან მიკარების გარეშე, შეკარით ბაწარი ფეხებისა და მხრების გარშემო და მოაცილეთ ენერგიის წყაროს;</p> <p>უკიდურეს შემთხვევაში ხელი წაავლეთ დაზარალებულს მშრალ, ფართო ტანსაცმელზე და მოაცილეთ ენერგიის წყაროს</p> <p>თუ მსხვერპლს გონება აქვს დაკარგული, გაუხსენით სასუნთქი გზები, შეუმოწმეთ სუნთქვა და პულსი</p> <p>განათავსეთ მსხვერპლი უსაფრთხო ადგილას. გააციეთ და შეახვიეთ დამწვარი ადგილები</p>
--	--	--

6. ავარიაზე რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობა

ნარჩენების განთავსების ობიექტის, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პროცესში ავარიების განვითარების თვალსაზრისით უნდა არსებობდეს ავარიებზე რეაგირების შესაბამისი სტანდარტული აღჭურვილობა, კერძოდ; პირადი დაცვის საშუალებები:

- ჩაფხუტები;
- დამცავი სათვალეები;
- სპეცტანსაცმელი ამრეკლი ზოლებით;
- წყალგაუმტარი მაღალყელიანი ფეხსაცმელები;
- ხელთათმანები ხანძარსაქრობი აღჭურვილობა
- სტანდარტული ხანძარმქრობები;
- ვედროები, ქვიშა, ნიჩბები და ა.შ.;
- სათანადოდ აღჭურვილი ხანძარსაქრობი დაფები;
- სახანძრო მანქანა – გამოყენებული იქნება მარნეულის მუნიციპალიტეტის სახანძრო რაზმის მანქანები გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების აღჭურვილობა:
- სტანდარტული სამედიცინო ყუთები;

- სასწრაფო დახმარების მანქანა – გამოყენებული იქნება მარნეულის სამედიცინო დაწესებულების სასწრაფო დახმარების მანქანები
- დაღვრის აღმოსაფხვრელი აღჭურვილობა:
- გამძლე პოლიეთილენის ტომრები;
- აბსორბენტის ბალიშები
- ხელთათმანები
- ზეთშემკრები
- სათლები
- პოლიეთილენის ლენტა

7. საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირების სისტემა - აღჭურვილობის მონიტორინგი

საგანგებო მდგომარეობისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა პერიოდულად უნდა შემოწმდეს, მათ შორის, წამლების ვარგისიანობა (ყოველთვე), ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის საიმედოობა, ჩაღვრის საპრევენციო აღჭურვილობის სისუფთავე (ყოველკვირა) და ა. შ. სპეციალური ყურადღება უნდა მიექცეს პერსონალის მომზადების მონიტორინგს.

8. ანგარიშის შედგენა

საგანგებო მდგომარეობის ანგარიში უნდა მოიცავდეს:

- გამომწვევი მიზეზებისა და ზარალის აღწერას;
- საგანგებო რეჟიმში გაწმენდის პროცესის აღწერას;
- გასუფთავების შემდგომ აღდგენით პროცესს;
- საგანგებო მდგომარეობაზე რეაგირების პროცესში შედეგების ანალიზსა და რეკომენდაციებს/დასკვნას თუ როგორ შეიძლება მათი გათვალისწინება.

ამასთანავე, უნდა მომზადდეს კვარტალური ანგარიშები (ან ყოველთვიური, სიტუაციის მიხედვით), რომელშიც გაანალიზდება საანგარიშო პერიოდში საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედებები, შედეგები და რეკომენდაციები.